საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია № 184 პარასკევი, მარტის 2 (15) 1918 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ტრაპიზონიდან არავითარი ცნობა არ მოსულა.—ოსმალებმა არზრუმი აიღეს: უამრავი იარაღი და სურსათი ჩაიგდეს ხელში.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადების ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (ა. თავართქილაძისეული „ნადეჟდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ორი მანეთით მეტი.
ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დასაბეჭდი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ იქნება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაზოს ქ., ხარაჯიშვილის ს. № 6.
ტელეგრ. ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме", поч. ящ. 190.
ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.
ტელეფონი 12—29

კოოპერატივებო და კოოპერატორებო, დაეხმარეთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფულის მოგროვებით. ყოველმა კოოპერატივმა წმინდა მოგებიდან უნდა გადასდოს ნაწილი საბჭოსათვის.

1061 საქართველოს ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია. ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო კავშირი.

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

## დიდი ცირკი
## ძმ. ეფიმოვებისა



მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შენქთ. კაპიტალური სასახლ. შენობა. ტელეფ. 19—00.

დღეს, 2 მარტს, გაიმართება

### დიდი სასპორტო

წარმოდგენა. მონაწილეობენ კომი, კლოდომიროვი, იონაში, სტრაკი, ბონ-ბონ ბოდი, ბოდნოვსკი, ვერელოვსკი, რიჩარდო, სტეფანი და სხვანი.

ქიდაობს 3 წყვილი: 1) ჟურს-იარჩაკი და რუკინი, 2) ალ. რაქო და მანკოვიკოვიჩი, 3) სერბიკ როლანდი და ჯიკ-მორა.

ანონსი: ხვალ 3 მარტს გაიმართება ბენეფისი ჟურს-იარჩაკის. 269

## კინო პალასი

კვირას 4 მარტს.

ტფილისის ქართველ ქალთა სამ. ტატო სემინარიასთან არსებული მშობელთა წრე მართავს საბავშო,

## პროექტორს

რომლის წმინდა შემოსავალი დანიშნულია ამავე სკოლის ღარიბ მოწაფეთათვის იქვე იქნება ბავშვებისთვის ბუფეტი.

დასაწყისი დილის 12 საათზე. ✦ მეორე სეანსი დაიწყება 2 საათზე.
259 გამგე: მშობელთა წრე

## დაკარგული ბარათების გამოცვლის წესი

1) ყველა ბარათი სახლის კომიტეტის ხელში უნდა იყოს.

2) ყველა ბარათზე, რომელიც სახლის კომიტეტს აქვს, უკანასკნელი ბეჭედი უნდა იყოს.

3) დაკარგული ბარათების ნაცვლად ახალი ბარათების მიღება ცენტრალურ ბიუროში (ბებუთოვის და რტიშჩევის ქ. კუთხე), შეუძლიათ მხოლოდ სახლის კომიტეტებს განცხადების წარდგენის შემდეგ ბარათის დაკარგვის შესახებ, დამკარგველის მოწმობის და სახლის წიგნის წარმოდგენის შემდეგ. განცხადება ბარათის დაკარგვის შესახებ ხელმოწერილი უნდა იყოს საუბნო ინსტრუქტორის მიერ, რომ კომიტეტი მართლა არსებობს და კანონიერად არის ამორჩეული. ამას გარდა განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს, რომელი ფურნიდან იღებს სახლის კომიტეტი პურს.

4) დაკარგულ ბარათში 3 მანეთია გადასახდელი ხარჯის ასანაზღაურებლად.

5) ცალკე პირებიდან განცხადება ბარათის დაკარგვის შესახებ არ მიიღება.

1091 ქალ. გამგეობის სასურსათო განყოფილება.

## ავჭალის აუდიტორია

შაბათს 7 მარტს 1918 წ.

ავჭალის აუდიტორიასთან არსებულ სცენის მოყვარეთა წრის მიერ. მსახიობ პ. ფრანგიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ავჭ. აუდ. სცენაზე ახალი ორიგინალური დრამა გარდელისა

### გაწყვეტილი სიმი

4 მოქ.

მონაწილეობენ: ქ.ქ. ვ. ბაბო, მარინეშვილი, თამრიოშვილი, ბ.ბ. ლადერაშვილი, ან. ლითანიშვილი, გრ. ფაფაზაშვილი, პ. ფრანგიშვილი.

ბილეთები იყიდება ყოველ დღე თეატრის კასაში დილის 12—3 ს. საღამოს 5—7 ს. ბილეთების ფასი 1 მ. 50—30 კ.

დასაწყისი ზუსტად საღამოს 7 საათზე, რათა გამსწრე საზოგადოებას საშუალება მიეცეს ტრამვაის მოასწროს.

მორიგე გამგ. ქ. რაფაელი. ✦ რეჟისორი პ. კანდინაშვილი.

შემდეგი წარმოდგენა 10 მარტს მზადდება გალ. შალიკაშვილის ახალი თანამედროვე პიესა „გაწყვეტილი ჯამი". 268

## გამოვიდა ჟურნალ „პრომეთეს"

მე-2 ნომერი, შემდეგი შინაარსით:

ვაჟა-ფშაველა—შუნების გლოვა, ვ. ბარნოვი—ამქრის მშვენება, ა. ჭუმბაძე—ნაგვიანევი ყვავილი, ა. პაპავა—სოლეილდორ, კ. გამსახურდია—ქორწილი, მიზანტროპი, ა. ჭიჭინაძე—იო; ძველი მწერლობა: ქართველ მეფეთა და დიდებულთა ბეჭდ. ზედწარწერანი, აფორიზმები ქილილა და დამანადან, ს. გორგაძე—ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა, პ. ინგოროყვა—„კავკასიის" ქვეყნების ტერიტ. გამიჯვნის გამო, რენე მეველი—ფრანგული აზროვნება და ომი, ტერ გრიგორიანცი—მშაკი და სომეხ-ქართველთა ურთიერთობა.

ჟურნალზე ხელის მოწერა შეიძლება „სახ. საქმის" კანტორაში, იქვე იყიდება ნომრები, აგრეთვე ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების და კიკნაძის წიგნის მაღაზიაში. 1090

## კავკასიის საურთიერთო ნდობის საზოგადოება

ამით საყოველთაოდ აუწყებს, რომ ის

### პირველ მარტიდან

იწყებს თავის მოქმედებას და აწარმოებს ყოველგვარ ოპერაციას, საზოგადოების წესდებით ნებადართულს.

საზოგადოების წევრებს იწვევენ საზ. ბინაზე (სერგიევის ქ. № 1 ტელ. 19—67, 10 საათამდე) იმ მოთხოვნის შესასრულებლად, რომელსაც საზოგადოების წესდების მე-3 მუხლი მოითხოვს.

### საზოგადოების ადმინისტრაცია:

**საბჭო.** თავმჯდომარე სოგ. ტერ-მინასოვი, თავმჯდომარის ამხანაგი, ნ. ე. წვერავა; წევრები—მ. ა. ვასილიევი, მამედ ალა ვეკილოვი, ა. ო. ესაიანცი, მ. ნ. ზარგარიანცი, ა. ვ. კუსიკოვი, ა. ნ. ქავჭავაძე და ს. ტ. ჭყონია.

**გამგეობა**—თავმჯდომარე ლ. მლებროვი, წევრები: ნ. გ. ქართველიშვილი და ა. თ. გრინევი, ბუჰგალტერი გ. ს. აზატიანი, მოლარე ვ. ა. ასანჯალალოვი. 265

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აუწყებს ტრაქტირების პატრონთ, რომ 1918 წელს ქალაქის სასარგებლოდ შესაკრებ სატრაქტირო გადასახადის დანაწილება უკვე დასრულდა.

საჩივრის შემოტანა შეიძლება 1918 წლის 10 მარტამდე.

ცნობების მიღება გადასახადის რაოდენობის შესახებ შეიძლება ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილების კანცელიარიაში, რომელიც იმყოფება ერევნის მოედანზე, ქალაქის სახლში, შეიძლება აგრეთვე აგენტებთან (ვაჭრობისა და მეურნეობის ყოფილ ზედამხედველთან). 1092

## ნ. ბარათაშვილის ლექსების და წერილების

ადრემიური დასურათებული გამოცემა დიდებული საყოველთაო ერთგულების გამო დროებით შეჩერებულია. შეუძლებელი გახდა ძველებური მუშაობა. ყველაფრის ფასი უზომოდ გაიზარდა. ამიტომ საგამომცემლო კომისიამ საჭიროებისამებრ დაინახა, გადადოს წიგნის დაბეჭდვა ზავჩეულის დამყარებამდე. თუ იმ დროისთვის ცხოვრება არ ჩადგა ასე თუ ისე წესიერ კალაპოტში, მაშინ კომისია ცალკე განცხადებით აუწყებს ხელისმომწერთ, ვისაც სურს უკან წაიღოს გადახდილი ფული და ვისაც სურს დაიტოვოს ვიდრე შესაძლებელი შეიქნებოდეს წიგნის გამოცემა.

კომისიას შეძენილი აქვს ქაღალდი და სხვა და სხვა მასალები და ნ. ბარათაშვილის თხზულებას აუცილებლად გამოსცემს, როგორც კი გარემოება ამის ნებას მისცემს.

**ტფილისი, 2 მარტი 1918 წ.**

**გეგეჭკორის მთავრობა.** ამიერკავკასიის სეიმმა მთავრობის შედგენა მიანდო ევგენი გეგეჭკორს. დღევანდელ პირობებში ამიერკავკასიის მთავრობის შედგენა ძეტად ძნელია და მართალი უნდა ითქვას არც გეგეჭკორი და არც ერთი საზოგადო მოღვაწე ადვილად ვერ იკისრებდა და ვერ იკისრებს რთულ მდგომარეობაში ესოდენ მძიმე ტვირთვის აკიდებას. დამახასიათებელია, რომ სეიმი ერთხმად შეჩერდა გეგეჭკორის პიროვნებაზე. საზოგადოება გეგეჭკორს იცნობს, როგორც გაბედულ მოღვაწეს, რომელიც რთულ მდგომარეობას კი არ გაურბის, არამედ ყოველთვის კისრულობს პასუხსაგებელ როლის თამაშს და შეძლების მიხედვით მუშაობის წარმოებას.

ჩვენ გვინდა აქ გეგეჭკორზე შევჩერდეთ სახელდობრ იმ მხრივ, გეგეჭკორის მთავრობა რამდენად განმასხვავებელი იქნება ზოგადად იმ შეხედულებისა, რომელიც სახელმწიფოებრივ აქვს თვით პრემიერს. უნდა მოვიგონოთ, რომ მთავრობის ხელმძღვანელის როლში გეგეჭკორი „ახალი ცოცხი" არ არის, ის ამიერკავკასიის „ადმინისტრატიული ენერგიაა" და სწორედ ამ მხრივ იცნობს მას ჩვენი დემოკრატია. გვახსოვს გეგეჭკორის წინანდელი მუშაობა. გეგეჭკორი პირველი იყო, რომელმაც ხმა აღიმაღლა კომისარიატის უძლურებაზე, რომლის სათავეში თვითონვე იდგა: თავის მოქმედების კრიტიკამ, ძირითად მიზეზების დასახელებამ წინანდელ კომისარიატის უძლურებისა გეგეჭკორის სახელს ბევრი რამ შესძინა და თუ ეს თვისება შერჩა ეხლანდელ პრემიერს, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ის მართლა „ადმინისტრატიულ ენერგიის" პიონერი იქნება აღგილობრივ მთავრობათა.

რამ დააუძლურა წინანდელი მთავრობა გეგეჭკორისა? ამის პასუხი თვით გეგეჭკორმა მოგვცა ეროვნულ საბჭოში და სოციალ-დემოკრატიის საოლქო ყრილობაზე. გეგეჭკორი სასტიკად აუმხედრდა ეგრედ წოდებულ ცენტრის სამთავრობო ფუნქციებს, მრავალ მთავრულ პოლიტიკას და ბრძოლის, სიწყნარის აუცილებელ პირობად დასახა საადმინისტრაციო პრაქტიკაში მონიზმის პრინციპის შეტანა. გეგეჭკორის ამ კრიტიკამ პრაქტიკული ნაყოფი უკვე გამოიღო და ჩვენ განვთავისუფლდით უპასუხისმგებლო ორგანოების პროვიზორულ კანონებისაგან რამაც ავტორიტეტიც შემატა მთავრობას და ხასიათის სიმტკიცეც.

ეს ერთი დადებითი ელემენტი იყო გეგეჭკორის საადმინისტრაციო შემოქმედებაში და თუ ეს ელემენტი გაძლიერდა, თუ გეგეჭკორმა იმდენი გამჭრიახობა გამოიჩინა, რომ მთავრობის ტვინის დომლონელი სხვა მატლიც დაინახა და შეებრძოლა, უეჭველია მისი შემოქმედება როგორც ქართველ ერს, ისე ამიერკავკასიის ყველა ერს დიდ სარგებლობას მოუტანს. ჩვენც აღვნიშნავთ აქ ამ მეორე მატლის არსებობას. ეს არის შეურიგებელ ეროვნულ ინტერესთა ერთ მთავრობაში მოქცევა. ამიერკავკასიის ეროვნული მდგომარეობა ისეთია, რომ გეგეჭკორი უძლურია მთავრობის შედგენაში დიქტატორული ნაბიჯები გადადგას და ყოველმხრივ ეროსულოვა-

ნი მთავრობა შექმნას. გეგეჭკორი [illegible] და გაეზას ეროვნებათა ქსელში, [illegible] ლართოს სხვა და სხვა ერის წარმ[illegible] მადგენლების ქსელში და ამ [illegible] შეეცადოს სიმტკიცის და სიმთე[illegible] აღდგენას. ამ მიზნის შესრუ[illegible] დღევანდელ პოლიტიკურ-ეკონ[illegible] და ეროვნულ ძალთა განწყ[illegible] ში შეუძლებელია. ვერავითა[illegible] ვერ მოახერხებს ერთ ლეიტ-მ[illegible] აამოძრაოს თათრის, სომხის და [illegible] ველ ერის წარმომადგენლები. ი[illegible] ეხლა ხდება სეიმში, დაწყებული [illegible] ციპიალური კამათით და დამთ[illegible] ბული რეპლიკებით შეუძლებელ[illegible] დავიტანოთ მთავრობაში და მისი [illegible] შობა, გადაუტანლობა კი [illegible] არ შეუძლიან.

ჩვენ ვიტყოდით, რომ [illegible] ბელი წრეა მთავრობის [illegible] ფატალურად გამოიწვევა[illegible]

...ფართოვებს საქმეს, იჭერს მთელ სა-...ახლეს და სპერია არა ნაკლებ 40 ...თახისა.

როგორც სჩანს სეიმი მკვიდრად აპირებს დაფუძნებას, პარლამენტარული კრეტინიზმი ბოჭავს დეპუტატებს და ერთხელაც კი არ კითხულობს ხალხის დამოკიდებულებას სეიმთან.

სეიმის გახსნისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ეხლანდელი სეიმი ნამდვილად სუროგატია სეიმისა, ის არც ნამდვილი დამფუძნებელი კრებაა და არც პარლამენტი, ამ სუროგატით შეიძლება ვისარგებლოთ მხოლოდ დროებით ვიდრე ძირითადი საჭირ ბოროტო საკითხები გადაიჭრებოდეს.

მაგრამ ჩვენი იმედები თან და თან ცრუვდება. ეხლანდელ სეიმს ხელმძღვანელი პარტიები აღარ უყურებენ როგორც გარდამავალ ორგანიზაციას, იგი სისტემატიურად ეფლობა ჭაობში, ეხება ყოველ წვრილმან საკითხს და უდიდესი დაწესებულება კინკლაობის ასპარეზადაც იქცევა.

რას წარმოადგენს დღევანდელი სეიმი? იგი განსახიერებაა ამიერკავკასიის ერებისა და სეიმის მთავრობაც ამიერკავკასიის ერების ფოკუსია. შეიძლება კი ხსენებულ ქვეყნის ერთ ორგანოში მოქცევა, რომ ავტორიტეტი ქონდეს პარლამენტს და მთავრობას? ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ამიერკავკასიის ერები სხვა და სხვა ინტერესით არიან გამსჭვალულნი, რამდენიც და ვილაპარაკოთ უდიდეს მატერი...ე, ვერას გზით ვერ შევარიგებთ ... ვერ მოვაქცევთ ერთ ორგანოში ...რის და სომხის ინტერესს, სომხს ... ქართველის მიზნებს, ყველა ამათ ...ვათ რუსებთან. განა ხან ხოისკის ...ეპექორის ბრძოლა სეიმში სავ... ახასიათებს ჩვენს ნათქვამს? ...ით, რომელიც ტიპიური წარ...ელია ადერბეიჯანის ინტერე... მოურიდებლად განაცხადა, ...ოა თეთრებისა და პრინციპებს ...ავანებოთ, ფრჩხილები გავხსნათ ...კარ და გამოვსთქვათ საკუთარი ...ნადებით.

...ველის ჩ ხრჩობა არავის შე... არც საჭიროა მისი ხელო...სპობა. ჩვენც მოვითხოვთ, ...რვილები კულტურულად ...ოდ, გზა მივცეთ, საკუ... გაუჩ ნოთ და მხოლოდ ...ნახოთ საერთო ენა, საერთო ...საერთო მიზნები, როდე...ლი გახდება საკუთარ ...წილობრივი დღთმობა ...ობისათვის.

...ადგებით და...

[illegible]

...ვქლ-...თველ ...ხეტიალს, ...ლომატიურ ქსელში ...თნეობას, ბრძოლას, ...დაასუსტებს საერთო ...ას დაუკარგავს მთავ... გამოაცლის სეიმის ...და ყოველივე ეს ...უკიდურეს პესიმიზს ...შესახებ, საზოგა...რისტული იდეა ...თვალში ყოველ

...ქტივით მხოლოდ ...ტ-ფედერალისტები, ...ლნი და სხვა ხელ... კი ვერ ხედავს ...ს სხდომიდან ...ნა შეურიგებელმა ...ტალღამ და იგი ...შემდეგში კიდევ ...ჩვენ ამ ტალღას ...ქცევთ. რუსებისა... გავლენის ქვეშ ...სოციალ-დემო...ოთ სტოვებენ ...ნიზმს და ლა...ხოისკი სი...რონ ყო...ანტოგო... ეროვნულ ...ლებით შეიძ... ეხლანდელი ...ვ მოწვეულ ...მი ერისათვის ...რება, აქედან ...ვნული მთავ... შემდეგ მივი...ერთო ენას და ...საერთო ინტე...ორგანოები შევ... ერთი გზაა ...ს დაკმაყოფ... შეხლა-შე...ლ ერებთან,

კვიეტიზმი და ერენტიზმი აღარ დაგვახრჩობს და ნიადაგი ჩაეყრება მეზობლების მეზობლურ კეთილგანწყობილებას.

განანგრძლივება კი არ არის საჭირო სეიმისა, არამედ რაც შეიძლება მალე მისი დაშლა. მისი რეკონსტრუქცია ეროვნულ პრინციპის მიხედვით. რამდენადაც გართულდება საშინაო და საგარეო ცხოვრება, იმდენად მეტი იქნება მოთხოვნილება სეიმის რეკონსტრუქციისა, იმდენად მალე უნდა შევუდგეთ ეროვნული მთავრობა.

ამ ჟამად სეიმისათვის ხარჯთაღრიცხვების და კვესტორ-ბოქაულების საკითხი კი არ უნდა იყოს გადასაჭრელი, არამედ მთავარი ძირითადი პრობლემები ამიერკავკასიის ერებისა, რომელნიც საჭირონი არიან ეროვნულ-ტერიტორიალური ჩამოყალიბებისათვის. რუსეთის მთავრობამ ტოპოგრაფიის საქ ე აწეწ დაწეწა მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში და სეიმმა ეხლა უნდა გახსნას კვანძები. ეს საქმე მეტად საშურია და სეიმმა უნდა გადასწყვიტოს თუნდაც რომელიმე ერი არ შეიქმნეს გადაწყვეტილებით კმაყოფილი. გადამეჯვნით ყველასი დაკმაყოფილება შეუძლებელია. ოცნებაა და თუ ამ საოცნებო საქმეს მივყვებით —გამიჯვნას ვერ მოვახერხებთ.

ზავია ეხლა საერთო საამიერკავკასიო საკითხი და ის ასე თუ ისე უნდა ჩამოაგდოს სეიმმა. სხვა და სხვა თვალსაზრისმა ზავის გარშემო თავი უკვე იჩინა, მაგრამ სეიმმა უნდა სძლიოს დასაძლევი და ზავი მოგვიტანოს. მხოლოდ აქ გაიწმინდება ნიადაგი სეიმის და არსებული ძალთა განწყობილების რეკონსტრუქციისათვის და რეორგანიზაციის შესასრულებლად ამორჩეულ იქმნას დროებითი მთავრობა, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ეროვნულ დამფუძნებელ კრების მოწვევას, ეროვნულ მთავრობათა შედგენას და ამნაირად შეასრულებს თავის მისიას.

ამ საქმის დაგვიანება შეუძლებელია. ვისაც უნდა ააგოს ამიერკავკასიის წეს-წყობილება საფუძვლის შენებით ის ამ პრინციპს ალიარებს სახელმძღვანელოდ, გარეშე ამ პრინციპისა ზღაპარია წესიერების ჩამოგდება ქვეყნად. ნორმალური კანონმდებლობა და საზოგადოდ საალმშენებლო შემოქმედება.

სეიმის მთავარ საკითხად გადასაჭრელად მუშაობის დაჟარება, გადაჭრა და მისი ჩქარა დაშლა—აი მორიგი პრობლემა ამიერკავკასიის დემოკრატიისა და ამ ჟამად ამ ლოზუნგის პოპულიარიზაციაა საჭირო ხალხის ფართო მასაში.

თედო ღლონტი.

# აჭარა საქართველოს განსაცდელის ჟამს

ცოტად თუ ბევრად შეგნებულმა აჭარელმა კარგად იცის, რომ აჭარლები ქართველების ღვიძლი ძმებია; ძმები, რომლებიც ჟამთა უკუღმა ტრიალის წყალში ოსმალთა უხეშ, ტლანქ ძლიერებამ ძალა უნებურად მოგლიჯა მშობელ ქართველ ერს; ძმები, რომელთაც მტაცებელ ოსმალთა მძიმე უღელ ქვეშ ხანგრძლივი მონობის, ათასნაირი ჭირვარამისა და უბედურების ქუხილი თავს დასტყდომია, მაგრამ ქართული სულისკვეთება, ქართველური სახე, მისი მდიდარი ბუნების ნაპერწკლები მაინც არ ჩამქრალა უმრავლესობის გულის სიღრმეში; ძმები, რომელნიც ბნელძალთა წყალობით არა ერთხელ უდანაშაულოთ სულიათ, აუწიოკებიათ; ძმები, რომელთა მოწინავე, შეგნებულ ნაწილს, მუდამ ქრისტიან ძმებისკენ სამართლიანად ეჭირათ თვალი, ამ უკანასკნელთაგან მოითხოვდა და მოელოდა შველას საბედისწერო ჟამს. და არ ყოფილა არც ერთი მომენტი, როდესაც მაჰმადიან ქართველებისათვის შეძლების და გვარად ძმური დახმარების ძმური ხელი არ გაეწვდინოს ქრისტიან ქართველებს.

თითოეულმა ასე თუ ისე გონიერმა, თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით დაინტერესებულმა აჭარელმა მშვენივრად უწყის, რომ მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველები ისტორიულად განუყრელი შესისხლხორცებული ძმებია: საერთო სამშობლო, საერთო ენა, საერთო ისტორიული ცხოვრების პირობები, ბრძოლა და ყრუსათვისაც კი ცხად ყოფს საქრისტიანო და სამაჰმადიანო საქართველოს განუშორებელ, შეხმატკბილებულ არსების მთლიანობის სიდიდეს. ამ რიგად ჯერ კიდევ შორეულ, ბრწყინვალე და ძლევა მოსილ წარსულმა დაავალა სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველოს ჭირში და ლხინში ერთად მჭიდროთ შეკავშირებულად სიარული. საერთო გმირ წინაპრებმა ჟანდერძა მაჰმადიან ქართველებს ისტორიულ ცხოვრების ყოველ საბედისწერო გზა ჯვარედინზე საერთო ძალღონით ერთსულოვნად მიზანშეწონილი მოქმედება. ამ გვარ დიდ ისტორიულ, წმიდა ანდერძს ჩვენი საერთო წინაპრებისას, ჩვენის ღრმა რწმენით დღეს, კერძოთ აჭარისა და საერთოდ საქართველოს განსაცდელის ჟამს, ზურგს ვერ შეაქცევს, ვერ უღალატებს აჭარლები, რადგანაც ეს იქნება ღალატი საკუთარი თავისა, ეს იქნება საკუთარის ხელებით სიცოცხლის წინ და წინ მოსპობა, მეტსაც ვიტყვით, ეს იქნება გაკოტრება აჭარელთა მსოფლმხედველობის და წინდაუხედველობისა, უდიდესი ცოდვა და დანაშაული მომავალი თაობისა და სამშობლოს წინაშე. გამოვდივართ რა ბმგვარ მოსაზრებიდან ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქობულეთის მიტინგზე მოხუც მაჰმადიან ქართველის განცხადება, რომ ოსმალეთთან ომის დროს, ქართველობას აჭარლები ჯარის კაცათ ვერ გაყვებიან, თუმცა ხარ კამეჩით და ცნობების მიწოდებით ქართველობას დაეხმარებიანო,—ეს შემთხვევით, მოუფიქრებლათ წამოსროლილი სიტყვებია, რომლის, არამც თუ სისრულეში მოყვანა, თვით მისი აზრად მოსვლაც კი თავმოყვარეობის დიდ დამცირებას აგრძნობინებს ყოველ გონიერ აჭარელს. ყოველი აჭარელი დაგვეთანხმება და დაგვიდასტურებს იმ აზრს, რომ ძმას გაჭირვებაში უნდა გაუწიო ძმობა და ძმური დახმარება. და ჩვენ გვგონია, რომ ძნელად მოიპოება ისეთი დაკნინებული და ლაჩარი მაჰმადიანი ქართველი, რომე ლიც ქრისტიან ქართველს გვერდში არ ამოუდგეს და სისხლიც არ დაღვაროს საერთოდ საქართველოს და კერძოთ ჭირნახულ აჭარის საზღვრების დასაცავათ, თუ კი ეს საჭირო იქნება. იმ აჭარის მთლიანობის დასაცავად, რომლის ლამაზ ციდამოთა კალთეში არა ერთხელ უგემნია მას მშობლიური სიტკბოება და რომელიც ასე ძლიერად უყვარს თითოეულ აჭარელს.

ურიცხვია მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს შორის შუღლის, და ბოროტების მთესველი, მაგრამ ყოველი აჭარელი, ვისაც აქვს მცირეოდენი გამჭრიახობა ნათლად და სავსებით ხაარჩევს სიბნელეს სინათლისაგან.

ჩვენი საერთო მშობელი მხარე საქართველოს წარსული, უკულმართი აწმყო და მშვენიერი მომავლის იმედი მარად მოუწოდებდა და მოუწოდებს მაჰმადიან ქართველებს ქრისტიან ძმებთან ერთად შეთანხმებულ, შეკავშირებულ მოქმედებისა და თავგანწირული მუშაობისაკენ საერთოდ საქართველოსი და კერძოთ აჭარის მთლიანობის შესანარჩუნებლად. ამ სწორი და უტყუარი, საერთო გაბედნიერებისაკენ ძიმავალი აზრით უნდა იყოს გამსჭვალული დღეს ყოველი შეგნებული აჭარელი. ამის გასათვალისწინებლად და დროზე შესაგნებათ უნდა მოუწოდებდეს დღეს ყოველი გონიერი მაჰმადიანი თავის შეუგნებელ მოძმეებს.

ქრისტიან ძმებთან ხელის ხელ ჩაკიდებული, მათთან გაბედული და თავგანწირული მოქმედების მძლავრი ყიჟინი უნდა გაისმოდეს დღეს აჭარის ყოველ კუნჭულში.

დაე ეს აზრი ასულდგმულებდეს აჭარას საქართველოს განსაცდელის ჟამს, თუ მას სურს თავისი მომავალი ყოველ მხრივ უზრუნველყოს.

ცუღუ თოფურიძე.

# ომი თუ ზავი

### პეტროგრადის ალება

სევასტოპოლიდან რადიოთი იტყობინებიან. რომ გერმანელებმა პეტროგრადი რომ დაიკავეს, ალყა შემოარტყეს სმოლნის ინსტიტუტს, ბანკებს, სამხედრო ოლქის შტაბს, ტყვია-წამლის ქარხნებს და სადგურებს. სმოლნი ინსტიტუტს წინადადება მისცეს საჩქაროდ მოეხდინა თავისი საქმეების ლიკვიდაცია. სამხედრო და გარიშე საქმეთა სამინისტროები მათ დაჰკეტეს და დაბეჭდეს. გერმანელებმა ტელეგრაფი დაიკავეს. იმ ღამესვე სამხედრო წესები გამოაცხადეს და მეეზოვეთა მორიგეობა დააწესეს. მრავალი ხულიგანი დახვრიტეს. პეტროგრადის ქუჩებს სატუსაღოებიდან გამოყვანილი პირები სწმენდნენ გერმანელ ჯარის-კაცების მეთვალყურეობით. რიგიდან პეტროგრადში მთელი რიგი მატარებლებისა გამოგზავნილი ფაბრიკატებით სავსე, გერმანიის ესკადრა კრონშტატს უახლოვდება.

### გერმანელები მოსკოვში

მოსკოვი გერმანელებით არის სავსე მრავალი მატარებელი მოდის გერმანულ საქონლით. გერმანელებმა პეტროგრადსა და მოსკოვში დააწესეს გერმანული მარკის კურს 10 მაურად, რითაც ძირს უთხრიან რუსეთის მრეწველობას.

### ლტოლვილები.

ბათუმში ამ ჟამად 15000 ლტოლვილი ბერძენი და სომეხია ანატოლიის სანაპიროებიდან. ისინი ცუდ გასაჭირში არიან.

### ბ ე რ ძ ნ ე ბ ი

ბათუმის მახლობლად, დაბა გონიაში აქაური მცხოვრებ ბერძნებს თავს ესხმიან ხშირად. ამის გამო ეს დაბა იცლება და მცხოვრებლები ბათუმში გადაჰქონდნენ.

### ავსტრია-გერმანიის მოთხოვნები.

ყველა პრეტენზია, რომელიც ავსტრია-გერმანიამ რუსეთს წამოუყენა 18 მილიარდ მანეთს უდრის. ოთხთა კავშირის სახელმწიფოები აცხადებენ, რომ ამ ჯამის ანაზღაურების მოთხოვნა კონტრიბუცია კი არ არის, არამედ იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც რუსეთის მთავრობამ მიაყენა გერმანიის ქვეშევრდომებს და აგრეთვე პოლონეთის მცხოვრებლებს.

### ა რ ზ რ უ მ ი

ოსმალებმა შემოუარეს არზრუმს კებრიკეია მარით, მოსწყვიტეს არზრუმი სომხური კორპუსის შტაბს და სარიყამიშისაკენ გაემართნენ. არზრუმში ოსმალებს ხელში ჩაუვარდა 440 მძიმე იარაღი და სასურსათო საწყობები, არ იციან ბედი სომხების რაზმის რომელიც 2260 კაცისაგან შესდგებოდა. ერთი ვერსიით ანდრონიკმა მოასწრო არზრუმიდან გასვლა, მეორე ვერსიით მას ოსმალებმა გზა მოუჭრეს სიმაგრის და საწყობების აფეთქება სომხურმა ნაწილებმა ვერ მოახერხეს!

# ახალი ამბავი

✦ ეროვნულ საბჭოში. დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია ხელოვნების სექციის სხდომა. განსახილველია: 1) მეღ. ბალანჩივაძის მოხსენება, 2) სექციის განყოფილებათა წესდება, 3) მიმდინარე საკითხები.

✦ ქართველ ქალთა ხანიტ. რაზმი. 28 თებერვალს ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე მოხდა კრება. კრებას მოკლედ დაუსურათა ამ. ს. ლორდორიძემ დღევანდელი მომენტი და მისცა წ ნადადება: ქართველ ქალთა სანიტარული რაზმის დაარსებისა, კრება აღტაცებით შეეგება ამ აზრს. არჩეულ იქმნა კომისია 6 პირისაგან მის თავმჯდომარედ ს. ლორდორიძე, მდივნად ს. ნამგალაური, ხაზინადრად ფხალაძე, ამ კომისიას მიენდო შეიმუშავოს რაზმის წარმოების გეგმა.

რაზმში ჩაწერა შეიძლება ამ. ლორდორიძესთან დილის 10—2 ს, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 70 ლორდორიძე.

✦ შტატების შემცირება. სურსათის მიმწოდებელ ამიერკავკასიის კომისარიატმა წინადადება მისცა ყველა საზ. ორგანიზაციას (საერობო კავშირს, სამხედრო-სამრეწველო კომიტეტს, ქალაქთა კავშირს და სხვ.) 90 პროცენტით შეამცირონ შტატები.

✦ ფულის კრიზისი. ყველიერში მოხდება საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება ფულის ნიშნების ნაკლებობის გამო.

✦ მასწავლებელთა კრება. დღეს, პარასკევს, საღამოს 5 საათზე, სოფიის სახელობის პირველ დაწყებით სკოლის შენობაში (ჭავჭავაძის ქუჩა) დანიშნულია ტფილისში არსებულ ყველა დარგის საპროფესიო ქალთა და ვაჟთა სკოლის მასწავლებელთა კრება. ეროვნული საბჭოს განათლების სექცია დაბეჯითებით სთხოვს ჭრა-კერვის, ხელსაქმის და სხვა საპროფესიო საგნების ქართველ მასწავლებლებს აუცილებლად დაესწრონ ხსენებულ კრებას.

✦ კრება. ორი მარტი, პარასკევს, საკათალიკოზო საბჭოს კანცელარიაში დანიშნულია კრება ტფილისის სამრევლო მღვდელთა კრებულითურთ, რასაც დაესწრება ტფილელი მიტროპოლიტი ლეონიდე. კრება დაიწყება დილის 10 საათზე.

✦ ხაყურადღებოთ. მოწყალების და პარასკევა რომანოხის ასული კიკილია მსახურობდა გროზნის (ჩრდილოეთ კავკასია) სამხედრო გოსპიტალში. 1917 წლის 9 დეკემბრის შემდეგ მისი არაფერი ვიცით. ვთხოვ თუ ვინმემ რამე იცის მას შესახებ გვაცნობონ შემდეგი მისამართით: ბანძა, ქუთ. გუბ. აკაკი კიკილის.

✦ გაზეთ „ალიონი“-ს რედაქცია ამით აცხადებს, რომ ტეხნიკურ დაბრკოლებას ქმო ორი, უკანასკნელი კვირის, ნომერი არ გამოვა.

✦ ავჭალი აუდიტორიაში—შაბათს 3 მარტს ავჭალაში, არსებულ სცენის მოყვარეთა წრის მიერ მსახიობ პ. ფრანგიშვილი მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება გარდელის ორიგინალური დრამა „გაწყვეტილი სიმი“ 4 მოქ. ბილეთებს იყიდება ყოველ დღე თეატრის კასაში.

# სოფლად და ქალაქად

### დ უ შ ე თ ი

✦ კვირას, 11 თებერვალს მოხდა დუშეთის მომხმარებელ საზოგადოების „ყაირათის“ წევრთა წლიური კრება. ერთი წლის წმინდა მოგება ყოფილა 16320 მ., რომელიც კრებამ გაანაწილა ასე. ძირითად თანხად—5000 მ., ეროვნულ საბჭოს—2000 მ. დუშეთის სახალხო სახლს—1500 მ., დუშეთის ქართველ ქალთა წრეს—1000 მ., ამბულატორიას—1000 მან., წერა-კითხვის საზ. განყოფილებას—500 მ., მოსამსახურეთ ჯილდოთ 800 მან., დანარჩენი გადაეცა გამგეობას სხვა და სხვა გვარ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებისთვის დასახმარებლად. გამგეობის წევრად ნაცვლად კ. ყარანგოზიშვილისა არჩეულ იქმნა ა. ინაშვილი.

✦ ქალაქის თვითმართველობას „ოინები“ არ ელევა. ერთი თვეა თითქმის, რაც ხორბალი მოიტანა და ვერ მოახერხა აქნობამდე მცხოვრებლების დაკმაყოფილება. იძულებულნი იყვნენ თვით მოქალაქენი ჩარეულიყვნენ ამ საქმეში და აღმოჩნდა, რომ ხმოსან ნ. მელიქოვის ხელში დაკარგულა 31 ფუთი ფქვილი. მოქალაქეთა კომისიამ გამოიძია, რომ ფუთი ფქვილი თვითმართველობას დასჯდომია 14 მ. 60 კ. და უკანასკნელი კი აპირებდა ფუთი 20 მან. გაეყიდნა. მოქალაქეთ დაადგინეს გაიყიდოს ფუთი 16 მან. მხოლოდ უმოქმედო ქალაქის ხმოსნები, რომელებსაც ამიერიდგან უნდობლად უყურებენ, ვამოცვლილ იქმნენ, აირჩა კომისია, რომელიც მოახდენს ხელმეორე არჩევნებს.

✦ მიუხედავად იმისა, რომ სასურსათო კომიტეტის გამგეობის წევრები ნაცვლად დ. ტატიშვილისა და სხვ. ახალი შემადგენლობა იქმნა არჩეული, მაინც ფაქტიურად ახალ გამგეობას არაფერი ჩაუბარებია, რადგან ტატიშვილი და კამპ. სადღაც მიიმალნენ.

# საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

დუშეთი. 15 თებერვალს დუშეთში გვეწვია მთავარ კომიტეტის წევრი მიხ. საყვარელიძე. მეორე დღეს პარტიულ კლუბში შესდგა ამხანაგების საერთო კრება, მოვიდნენ გარეშე პირნიც. მიხ. საყვარელიძემ მეტად მგრძნობიარე და მჭერმეტყველური სიტყვით დაასურათა დღევანდელი მდგომარეობა და ამხანაგებს მოუწოდა სამშობლოს დასახსნელად ჯარის ნაწილებში შესვლა. ილაპარაკეს აგრეთვე ადგილობრივ კომიტეტის წარმომადგენელმა გ. მაისურაძემ და ა. ინაშვილმა, კრების გათავებისთანავე იქ დამსწრე ამხანაგებმა განაცხადეს სურვილი ჯარში შესვლისა.

— დუშეთის სოც.-ფედ. კომიტეტმა თავის სასწრაფო სხდომაზე საჭიროდ სცნო მაზრაში მოსალოდნელ ანარქიის თავიდან ასაცილებლად არსებულ პარტიების ძალთა მობილიზაცია მოხდეს, რის გამოც წერილობით მოუწოდა ყველა ორგანიზაციებს—22 თებერვალს მოვიდნენ საერთო კრებაზე ამ საგნის გადასაწყვეტად.

— ამავე კომიტეტმა მიიღო მთავარ კომიტეტის დეპეშა ბოლშევიკურ სამარცხვინო ზავის შესახებ და გადასწყვიტა ბრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე საქართველოს საზღვრების დასაცავად.

ქალთა კრება. ხვალ შაბათს დილის 12 საათზე პარტიულ კლუბში დანიშნულია ამხ. ქალების კრება. ყველა ქალებს ვთხოვთ აუცილებლივ დაესწრონ ამ კრებას, რადგანაც გადასაწყვეტია ფრიად საგულისხმო საკითხები.

# ქალებო

„ქართველო დედა, დედავ ქართლისავ
უწინ მამულსა უზრდიდი შვილსა;
და შენს ნანასთან, ქვითინი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა“.

ილია.

თუ უკვდავი პოეტი, ერის მიძინების ხანაში, ასე დასტიროდა გადაგვარების გზაზე შემდგარ ქართველ დედის ბედს და უნდოდა გაეღვიძებინა მასში ძველი ქართველი დედის სული, დღეს მე წარამარა მწერლივით მომავალი დამიანი ...ყვარულის... სადა ხართ, ... სადა ხართ, ... ნი ხმა? თითქოს სამშობლო და ეროვნება მხოლოდ მამაკაცებს ეკუთვნოდეთ თითქოს ჩვენ არ ვიყოთ იმ ერების ნაჟვარი ნაწილი იმ ქვეყნის შვილნი, იმ ცის ქვეშ მცხოვრები რომელსაც დღეს ესე თავ გამოდებით იცავენ ჩვენი მამაკაცები. ვეძებ სახეს რომელიც დაეჩრდილოს სამშობლოს გასაჭირის მწუხარებას, ვეძებ თვალებს რომელიც ენთებოდეს ბრძოლის ცეცხლით და გამოსთქვამდეს „ან გამარჯვება და ან სიკვდილი“. უსმენ ენას, რომელიც აქეზებდეს სატრფოს „წადი სამშობლო გასაჭირშია, წადი შენს ძმებთან,—იქ დაიმსახურე ჩემი სიყვარული და ომთან ერთად მოიგებ ჩემს გულს.“ უნთებდეს გულში გრძნობას მამულის დაცვის, ქარცეცხლისაც. ქმარს შვილს, ძმას, მაზლს და ყველას.

ვეძებ ამათ, ვეძებ ამათ იგივე უდარდელობა, იგივე უზრუნველობა. იგივე თავის შექცევა, იგივე გასართობები თითქოს ჩვენი ქვეყნის ცის კაბადონზე თავზედ მტრის მხედრობა კი-არა, შავი მწერის წერტილიც არ მოჩნდეს.

ქალებო! დროა დავაღწიოთ თავი სალათეს ძილს, ნუ თუ ისე ჩაჰკლა ჩვენში ჩრდილოეთის ნისლმა, ადამიანური თვით შეგნება, მის უფლება, რომ ასეთ განსაცდელის დროსაც ვსდუმვართ, კვლავ ვეკეკლუცობთ და ძლიერთა ფრთებს ვეფარებით? თუ მართლა გვინდა მოქალაქეთა რიცხვში ვეწეროთ, მთელის ადამიანის უფლებით, თუ მართლა გვინდა მათ სწორად და ტოლად, დაგვსახონ, გაჭირვების დროს ძალას ძალა ამოუყენოთ გვერდით.

„რა გასჭირდეს მაშინ უნდა გონებანი გონიერი“. ამბობს ჩვენი შოთა და ამაზე მეტ გასაჭირს მგონი აწი აღარ ნახავს ჩვენი ქვეყანა. 1918 წელი, მთელი ას ჩვიდმეტი წლის მონობის დაგვირგვინება იქნება, თუ დავმარცხდით.

დავივიწყოთ დღიური ჭირ-ვარამი და საუკუნოთ მომავალ ტანჯვას გაუსწოროთ თვალი, გახედეთ, გახედეთ იმ შავ ღრუბელს, იმ შავ მაჯლაჯუნას, იმ უხეშ ძალას რომელსაც ეწოდება ერთა თვითშემოქმედების ჩაკვლა, შენებურათ აზროვნება და შენს ენაზე საუბარის აკრძალვას და აბა რომელ თქვენგანს არ დაუვლის შემაძრწუნებელი ჟრუანტელი, იქნება თქვენ ეს არ გაშინებთ, ჩვენი ხალხი „მოდის“ ხალხია, ადვილათ ითვისებს ყველაფერს, მეტყვით „რუსული თუ ვისწავლე, ოსმალურსაც გაუწევთ ანგარიშსო.

„ხარი ხართან დააბი ან ზნეს იცვლის ან ფერსაო“. ამბობს ქართული ანდაზა და ვინ არის თავდები, რომ ჩვენი მამა კაცებიც არ მოსწევენ ერთ დღეს თათრულ ყალიონებს ყავახანებში და არ გვიბრძანებენ—„დედაკაცო შენ ხომ სრული ადამიანი არა ხარ, მხევალი ხარ ჩემი, არ მსურს სხვა უყურებდეს შენს სახეს, დაიბურე ჩადრითო.

ქართველო ქალებო! განურჩევლად პარტიულ მიმართულებისა მოგიწოდებთ ყველას, რადგან სიტყვა სამშობლო, ბევრ თქვენგანის ყურს ეჩოთირება, ბევრს ვერც კი წარმოუდგენია ნაჟერი მიწის სიყვარული, მიგითითებთ ჩვენთვის, დედაკაცებისთვის უფრო მწვავე საკითხზე—ადამიანურ, მოქალაქობრივ უფლებებზე, და ეს უკანასკნელი ხომ ოსმალეთში შელახულია, და ვინ იცის იქაურ ქალებს საუკუნოებიც მოუნდეს იმ უფლებათა მოსაპოებლათ რაც ჩვენ გვაქვს დღეს ხელში. ამისდა მიხედვით მოგიწოდებთ ამოუდგეთ გვერდში ჩვენს ვაჟკაცებს, გავამხნევოთ რათა მათ დაიცვან ქვეყანა და არ დაუთმონ მტერს ერთი მტკაველი მიწაც. მტკიცე ზღუდე ააგონ საზღვარზე, დაე ჩვენს მიწაზე, ჩვენთა ყრმათ, განურჩევლად სქესისა ჩვენებურად გაშალონ ფრთა და ააყვავონ თავისებური კულტურა. თავისი სახით მოევლინონ კაცობრიობას.

ჩვენც მივიტანოთ თითო აგური იმ კედელთან რომელმაც უნდა დაიცვას ჩვენი ერის მთლიანობა, ჩვენი ისტორია, ჩვენი კულტურა, დასასრულ ჩვენი დედა-კაცის უფლება, არამზადამ არ გადიქცეს ოჯახი და უფრო მეტათ არ განიტანჯოს ჩვენი ისედაც განაწამები სული.

მაშ რა ვქნათ? რით შევძლია დახმარება? მადლობა ღმერთს შორს არ არის ბრძოლის ველი, შორეულ მთებში, უცხოთა „კარპატებში“ არ მოუხდებათ წოწიალი, თუ-კი სიტყ

კანონის შიშით სადღაც ჩვენთვის წარმოუდგენელ ადგილებში ვისტუმრებდით, სადაც მკვდარიც გვეკარგებოდა ცოცხალიც, აქ ჩვენს სახლში რომ თვალსა გვთხრიან ხელი აღარ გავანძრიოთ? თავი აღარ დავიცოთ? ხან მოკლეა ომი ჩვენი, ახლო არის მანძილი. ორი ძლიერი შეძახება, ძველებურად არწივისებური თავ-დაცემა, მტერი უკან დაიხევს, ათს მომხდურს ყოველთვის სძლევს ოთხი დამხდური. დავეხმაროთ დაჭრილთა გამოზიდვას. ჩვენის ხელით მოვზიდოთ საზღვრამდის დარეცხილი საცვალი. მჭადი, ყველი, ლობიო ვისაც რა გვეხერხებოდეს!

კბილით და ფრჩხილით დავიცოთ ჩვენი თავისუფლება. ნუ შეგვაშინებს ტყვია და ტყვიის მფრქვეველი, აგე ყველა წვიმდეს ჩვენს თავზე.

იმ ღვთის რისხვაში გ... ვქედოთ ჩვენი ადამიანური უფლებ.

მარიამ გარიყული.

# უწესოებ ქ. დუშეთში

20 ყნვრვალს ქ. დუშეთში ასტყდა ...საზელი თოფის სროლა. არავინ იცოდა ვინ ან რისთვის ისროდა. მეორე დღეს გამოირკვა, რომ აქ მდგომი ქართული ესკადრონის ნაწილი ყველა ოფიცრებითურთ მიდიოდნენ დუშეთიდან. მათ აუტეხიათ საშინელი სროლა, აუარებელი პატრონები და საგზალი წაუღიათ თან. ღვთის ანაბარად დაუტოვებიათ რამდენიმე ათეული ჯარისკაცი. მეორე დღესაც განმეორდა საშინელი სროლა. ადგილობრივი წითელი გვარდია იძულებული იყო გამოსულიყო ქალაქში წესიერების დასაცავად. მათ ბნელ ქუჩებში ნახეს მრავალი ბოროტმომქმედნი, რომელთაც მიჰქონდათ სახლებში სამხედრო საწყობიდან დატაცებული ათასგვარი ნივთები: ქვაბები, რკინის ტახტები, პატრონები, ქერი ტომრებით და სხვ. ამ მძარცველებს მთელი ღამე წითელგვარდიელები ართმევდნენ ნადავლს და აგროვებდნენ, ჩვენი, სოც.-ფედერალისტების ბიუროში.

მეორე დღეს, დილით, ქალაქში ხმა გავარდა, რომ ქართული ესკადრონის ჯარისკაცები აპირებენ ბიუროზე თავდასხმას და დაგროვილ ნივთების წადებასაო. ამ ხმებმა მცხოვრებლები მეტად შეაშინა. ყველა მაღაზიები დაიკეტა და ხალხი ყოველ წუთს ელოდა უბედურებას. მაგრამ მალე შეიყარნენ ქალაქის თვითმართველობაში როგორც წითელ გვარდიელების წარმომადგენელნი, ისე ჯარისკაცების დელეგატები. გამოირკვა, რომ სამხედრო საწყობის გატეხაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ზოგიერთი ჯარისკაცები, ისე გარეშე პირებიც. ესკადრონის დელეგატებმა დაჰგმეს ასეთი საქციელი და წითელგვარდიელებთან ერთად დაადგინეს: ის დატაცებული ქონება, რომელიც დააგროვეს წითელგვარდიელებმა, გადატანილ იქმნეს სამხედრო საწყობში, რომლის დაცვა ინდოს, როგორც ჯარისკაცებს, ისე წითელ გვარდიელებს. ჯერ-ჯერობით ამით გათავდა საქმე. ადგილობრივ დაწესებულებათა დაცვა მიენდო ელეიდან წითელ გვარდიელებს. უნდა აღინიშნოს, რომ მცხოვრებლები ჯერ არ დამშვიდებულან და საიდან მოელით საფრთხე, არავინ იცის. ეს ითი აიხსნება, რომ მაზრის კომისარი დიდი ხანია მაზრა დასტოვა და აღარც ერთი სარევოლუციო ორგანო აღარ მოქმედობს. სძინავს ერობათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოს, არაფერს აკეთებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი და მარტო კომისრის თანაშემწე ლ. მამულაშვილი სრულებით უძლურია პატრონობა გაუწიოს შეშფოთებულ ხალხს.

ახლავე საჭიროა სათანადო ზომების მიღება, თორემ მერე გვიანღა იქნება თითზე კბენანი.

არყალელი

# სეიმის წევრთა სია, დამტკიცებული 28 თებერვლის სხდომაზე

**მენშევიკებისგან:** ნ. ჟორდანია, ი. წერეთელი, ნ. ჩხეიძე, ე. გეგეჭკორი, ა. ზურაბოვი, ნ. რამიშვილი, ი. რამიშვილი, ა. ჩხენკელი, მ. სკობელევი, ვ. ჯიბლაძე, გ. გიორგაძე, მ. სმირნოვი, ი. ბეკზადიანი, ა. ლომთათიძე, ტერ-კაზარიანი, გ. მახარაძე, რ. არსენიძე, ბერნშტეინი, თევზაია, ს. ჯიბლაძე, ნ. ხომერიკი, გ. ერაძე, კ. ანდრონიკოვი, დ. ონიაშვილი, ს. ფირუმოვი, ანჯაფარიძე, რ. ჩიხლაძე, გურჯუა, აბაშიძე ჰაიდარ, გოგლოევი, ლ. დადეშქელიანი და ვ. ახმეტელაშვილი.

**კადეტებისგან:** სემიონოვი.

**ეს-ერებისგან:** ლუნკევიჩი, ათაბეგიანი, ი. გობეჩია, ს. სააკიანი და ლორთქიფანიძე.

**დაშნაკციუთუნისგან:** ზორიანი, ოვანესოვი, ოგაჯანოვი, ამბარცუმიანი, ზავრუკი, შახატუნი, კაჩაზუნი, ტიგრანოვი, გაზაზიანცი, ჩილინგაროვი, გრუზინიან-ვრაციანი, ხატისოვი გ. ი. პირველი, ნალძაჯიანი, ძამოევი, ხატისოვი ა. ი. მეორე, ხაჩატრიანი, კარჩიკიანი, არუთინიანი, იაგჯანი, ამასპიური, ჩოლახიანი, ა. სააქიანი, ლევანიანი, ტერ-არუთინიანი, კოჩარიანცი, მანდალიანი და ტერ გევორქიანი.

**საქართვ. სოც. ფედერალ. სარევ. პარტიისგან:** გიორგი მიხეილის ძე ლასხიშვილი.

**საქ. ეროვ. დემოკრატებისგან:** გ. გვაზავა.

**„მუსსავათისგან“:** ჯაფაროვი, თოფჩიბაშევი, რასულ-ზადე, უსუბბეკოვი აგაევი, სულთანოვი, შამედბეკოვი, მასი...ოვი, სედოვ-ნირ-ვაღვიად, ყარაშოვი, რუსტამბეკოვი, ხოისკი, ხასმამედოვი, გაჯინსკი პირველი, შეიქევანოვი, გაჯ. ბაბაბეკოვი, ახუნდ-ზადე, ახჯანოვი, მელიქ-ასლანოვი, ბეჰბუთოვი, გაჯინსკი მეორე, კაჩარლინსკი, მამედბეკოვი, პიქალოვი, ი. ვექილოვი, შახტახტინსკი, კულიბეკოვი, რ. ვექილოვი, ეფენდი-ზადე და იუსუფ ზადე.

**„გუმმეთის“-გან:** ახუნდოვი, ავილოვი, შეიხ ულ-ისლამოვი და ალამალოვი.

**მუს. სოციალ. ბლოკისგან:** გაიდაროვი, კანტემიროვი, საფიკიურდსკი, პეპინოვი, რიზაევი, გაჯინსკი მესამე და მაგერამოვი.

**„იტტიხად ისლამ“-ისგან:** განიევი, მეხტიევი და მამედბეკოვი პირველი.

# წერილი ბაქოდან

## ქართველთა შორის.

ყოველგვარ საქმეში განახლებას ერთგვარი ხალისი და ენერგიის გაცხოველება სდევს გასულ წლიდან წ. კ. გ. საზ. ადგილობრივ განყოფილების საქმეებს ინტერპარტიული განახლებული გამგეობა განაგებს, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ განახლებული გამგეობა ენერგიულად ვერ მუშაობს, წინანდელი გატაცება და საქმისადმი ხალისიანობა ჩაჰქრა. დღემდის ძველ გამგეობას სულ იმას უსაყვედურებდნენ, რომ იგი ვერ იყო ბაქოს ქართველთა დემოკრატიის სულისგამომხატველი. შეიძლება ასეც იყო, მაგრამ რომ ძველი გამგეობა საქმიანი იყო, ეს ეჭვს გარეშეა; თუ დღეს ბაქოში ქართული კულტურული დაწესებულებანი არსებობენ, — სკოლა, თეატრი, წიგნთ-საცავი, — ყოველივე ეს ძველი გამგეობის საქმიანობის წყალობითაა. როდესაც ახალი გამგეობა ირჩეოდა, მხედველობაში ჰქონდათ მიღებული, რომ ინტერპარტიულად არჩეული გამგეობა, როგორც ყველასაგან ნდობით აღჭურვილი, გაამართლებდა ამომრჩეველთა მოლოდინს და ორჯერ უფრო მეტის ენერგიით შეუდგებოდა საქმის გაძღოლას. ნამდვილად კი დღემდის აგერ ოთხი თვეა ზოგი წევრი გამგეობისა არც ერთ კრებას არ დასწრებია. ეს ამომრჩეველთა აბუჩად აგდებაა, მეტი რომ არა იყოს რა! აქაური მენშევიკები, მაგალითად, ყოველ წლობით იმას გამოსთქვამდენ, რომ ჩვენი წარმომადგენლები არ არიან გამგეობაში და სწორედ ამიტომ კოჭლობს მისი საქმეებიო. ეხლა პროპორციონალური არჩევნების ძიხედვით იმათაც დაეთმოთ საკმარისი ადგილი გამგეობაში, მაგრამ მხოლოდ ერთი კაცი მუშაობს იმათ შორის ენერგიულად. სხვები კი თითქმის არსად ჩანან.

ამ მცონარეობა-უმოქმედობის გამო სასკოლო საქმეები ბრკოლდება. სალარი არ გააჩნიათ და ფულის მომგროვებელი კომისია—კიდევ ვერ იჩენს საკმარის ენერგიას. ბაქოს ქართველობა წინ უსწრებდა სხვებს საკულტურო მუშაობის საქმეებში; ეხლა, თუ ასეთი გარემოება გახანგრძლივდა, უკან ჩამორჩება.

**პარტიაში.**

ქართულ ცხოვრებას მოწყვეტილები ვართ. რკინის გზაზე გამეფებულ არეულობის გამო გაზეთები თავის დროზე აღარ მოგვდის. ამიტომ არ ვიცით ჩვენს დედა-ქალაქში და სამშობლოში რა ამბავი ხდება.

რადგან ბაქოში, ზოგი ადგილობრივი, ზოგიც ჩამოსული ქართველი ჯარის-კაცები ძლიერ ბლომად გროვდებოდენ, რომელთაც სამშობლოში წასვლა სურდათ და ვერ მოეხერხებიათ, ჩვენმა პარტიამ მიმართა აქაურ ქართულ სამხედრო კავშირის განყოფილების თავმჯდომარეს ექიმს რ. ნანეიშვილს, რათა მას მოეწყვია თითო კაცი ყველა პარტიებიდან და იმათი დახმარებით მოეწყო აქ და ენზელში (სპარსეთში) მყოფ ქართველ ჯარის-კაცების სამშობლოში გამგზავრება. ეს საქმე მოგვარდა ჩვენი წინადადების თანახმად და აქედან უკვე სამი ეშელონი ქართველი ჯარის კაცებისა გაემგზავრა რომელნიც მიუხედავად ათასი დაბრკოლებისა, მშვიდობით ჩავიდნენ ტფილისში.

თანახმად კომიტეტის გარდაწყვეტილებისა 21 იანვარს გაიმართა ჩვენი წინამძღოლის კიტა აბაშიძის სამოქალაქო პანაშვიდი. ქართული სკოლის შენობაში სცენა, სადაც მხატვრის ლ. ბრეგაძის მიერ გადიდებული კიტას სურათი იყო ჩამოკიდებული, შავად იყო მორთული. პირველი სიტყვა წარმოსთქვა კომიტეტის თავმჯდომარემ ი. აღლაძემ და სთხოვა დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი ეცათ განსვენებულის ხსოვნისათვის, ამ დროს დაუკრა სიმებიანმა ორკესტრმა სამგლოვიარო მარში, რომელიც დამსწრეთ ფეხზე ადგომით მოისმინეს. ამის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს შემდეგმა ამხანაგებმა: მ. კაკაბაძემ, ლადო ახობაძემ, ლადო გეგეჭკორმა, ექიმმა აბაკელიამ და ვ. სიფიაშვილმა. ყველამ გრძნობით სავსე და შინაარსიანი სიტყვები წარმოსთქვეს, დაახასიათეს ჩვენი მესვეური, როგორც კრიტიკოსი, მჭევრმეტყველი, გაბედული დამცველი თავის სამშობლოსი, სოციალისტი და ღრმა პოლიტიკური მოაზროვნე, რომლის სიკვდილი ჩვენს პარტიას თავს ზარს სცემს და ძალზე აღონებს. ყველამ აღნიშნა ის, რომ ამხ. კიტას იდეები იმარჯვებენ და მალე სრულიად გამარჯვებულნი წითელი დროშებით ვეწვევით არჩილს და კიტას და ვახარებთ ამასო. დასასრულ ორკესტრმა დაუკრა მარსელიოზა.

პანაშვიდს აუარებელი ხალხი დაესწრო.

ლანგანიძე

# მეშვიდე ქართულ მსროლელთა პოლკში

(კიტა აბაშიძის გარდაცვალების გამო)

1917 წელს 22 დეკ. დაუვიწყარი კიტა აბაშიძის გარდაცვალების გამო, მოხდა შეერთებული კრება მეშვიდე ქართულ მსროლელთა პოლკის ოფიცრებისა და ჯარის კაცთა წარმომადგენილთა. კრებაზედ თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქმნა პოდპ. ს, ჩახუნაშვილი ამხანაგათ პოდპორ, ი. მაისურაძე და მდივნათ პრაპ. ალ. დაფქვიაშვილი. თავმჯდომარემ დამსწრეთ მოკლეთ გააცნო: განსვენებულ კიტას მამულისათვის თავდადებული უანგარო მოღვაწეობა და მოუწოდა ფეხზედ ადგომით პატივი ეცათ მის ხსოვნისთვის, რაც კრების მიერ შესრულებულ იქმნა, შემდეგ კრება შეუდგა იმ საკითხის განხილვას თუ როგორ აღენიშნათ სამუდამოთ კიტას დაუვიწყარი მოღვაწეობა. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ კრებამ ერთხმათ დაადგინა: გვირგვინის ნაცვლად, თითო ოფიცერს გამოეღო ოცდა ხუთი მანეთი, მეშვიდე პოლკის სახელით, ქართულ უნივერსიტეტში სტიპენდიის დასაარსებლათ. კრებამ ეს გადაწყვეტილება ერთხმად მიიღო იმ შესწორებით, რომ რადგან ეს შეწირულება ხდება საერთოდ მეშვიდე პოლკის სახელით, ამიტომ დაევალოს პრეზიდიუმს და ჯარისკაცთა წარმომადგენლებს—აცნობონ ჯარისკაცებს, რომლებიც ჯერ კიდევ ავჭალიდან, ძველი პოლკის ბინიდან გადაუვლელნი არიან ქ. ტფილისში, რომ იმათაც მონაწილეობა მიიღონ ხსენებულ შეწირულებაში. ამას გარდა, რადგან ჯარისკაცთა დასწრება კიტას გასვენებაზე ტეხნიკურად მოუხერხებელია, ამიტომ დასაფლავებას დაესწროს პოლკის კომიტეტი და ოფიცერთა მთელი შემადგენლობა.

შეგროვილი ფული მეშვიდე ქართულ მსროლელთა პოლკის ჯარისკაცთა ოფიცერთა შორის, ჯამით ორი ათას ცხრაასი მანეთი (2900 მ.) დადგენილებისამებრ გადაეცა ქართულ უნივერსიტეტის გამგეობას 25 თებერვალს 1918 წ.

კრების თავმჯდომარე პრაპ. ს. ჩახუნაშვილი

თავმჯდომარის ამხანაგი პოდპორ. ი. მაისურაძე

მდივანი პრაპ. ალ. დაფქვიაშვილი

# მოწერილი ამბები.

**სოფ. კიცხი (შორაპ. მაზრა).** დიდი ხნის სურვილი იყო, რომ აქ დაარსებულიყო სამკითხველო. ამ მიზნისათვის 200 მანეთამდე შეგროვილიც იყო, მაგრამ სურვილს ათასი დაბრკოლება წინ გადაეღობა. უმთავრესად კი ხელი უფრო იმან შეუშალა, რომ საშინელმა ომმა საუკეთესო მუშაკნი სოფელს მოსწყვიტა და ბრძოლის ველისკენ უკრა თავი, განვლო თითქმის ოთხმა წელმა და მხოლოდ ეხლა შემოკრბა სოფ... ის, ვინც ... მხოლოდ ... მისი ... საც სურვილი ... ყო მოძრაობა და ზემო აღნიშნ... სურვილიც სისრულეში მოვიდა. ... თებერვალს, ამხ. სავლე აბუ... ინიციატორობით, საძირკველი ჩაე... კიცხის სამკითხველოს. სამკითხ... დაარსდა იაკობ გოგებაშვილის სა... ლობაზე. ბინის უქონლობის გამო სა... კითხველო მოთავსებული იქნება დრო... ბით სასწავლებლის ერთ პატარ... ოთახში. სამკითხველოში ჯერხნ... ბით 50 წევრი ჩაეწერა. ჩვენ ში... უმთავრესად ნივთიერი მდგომარე... ბის სისუსტე შეადგენდა, მაგრამ ... მემ სულ სხვა დაგვანახვა: ყ... გამოიღო თავისი წვლილი და აგ... ვე დაპირდნენ სამკითხველოს ... ნალ-გაზეთების გამოწერას: 1) ... ფოცხაძე გამოიწერს „ალიონს“ ... ჟურნ. „თეატრსა და ცხოვრებას“ ... წლით. 2) პეპიკო ბაქრაძე—„ერ...ბას“ 1 წლით, 3) ს. აბულაძე ... ხალხო საქმეს“ „ჯარის კაცს“ ... ჟურ. „მებრძოლთა ხმას“ 1 წლი... იასონ ჯიმშიაშვილი „ეშმაკის მათრ...“ 1 წლით, 5) ა. ლომინაშვილი ... ციალ-დემოკრატს“ 3 თვით, 6 ... კაჭკამიძე ჟურ. „პრომეთეს“ 6 თ... 7) ვ. ავალიშვილი „საქართველ...“ 3 თვით, 8) თამარა ავალ... შვილი „ხმა ქართველი ქალის...“ წლით, მეთოდე კაკილაძემ შ... მანეთი, დომნა წიქაბაძემ შ... გაზეთის გამოსაწერათ 6 მ., ... ეჯედლიძე გამოუწერს „ხალ... ცას“ 6 თვით, ლ. ოქროპ... შემოსწირა 6 მ., ვ. ცერცვა... წერს „ბრძოლას“ 6 თვით, ... ძე—„განათლებას“ 1 წლი... დნენ აგრეთვე წიგნებსა და ...

გამგეობა დიდს მადლობა... ვინც კეთილ ინება და სამ... სასიკეთო რამე წვლილი...

კრებამ აირჩია სამკითხვე... გეობა შემდგარი 5 წევრის... კანდიდატისაგან და სარევ... სია შემდგარი 3 წევრის... კანდიდატისაგან.

გამგეობა სთხოვს ყვ... ვისაც სურვილი აქვს რ... ნოს ახლად გახსნ... სასარგებლოდ და ... ვისაც შეიძლება ... ლი ამავე მიზნის... შემდეგი მისამართით... ხის სამკითხველოს...

მდივანი პარმენ ოქ...

# ქართულ ი... ს...

(წერილი ...)

18 თებერვალს მო... ქართულ ინტერპარტ... ბაზში, საბჭოსა და ... მომადგენელთა კრ... ლობრივი მაზრის ...

# ტაშირ-ლორის გამიჯვნისთვის.

(დასასრული *)

შულავერის საბოქაულოს დასავლეთით ეკატერინოფელდის საბოქაულო აკრავს. თუ არ ჩავთვალეთ ნემეცების კოლონია ეკატერინოფელდი და ნოვიალავარ—455 ოჯახით, სომხური ბოლნის ხაჩინი—221 ოჯახით და 12 ქართული სოფელი—502 ოჯახით, ეკატერინოფელდის საბოქაულო თათრების პროვინციას წარმოადგენს—40 სოფლით, 2463 ოჯახით და პროექტიც აქ არაფერს არა სდავობს.

თრიალეთის საბოქაულო შესდგება შვიდი დიდი სოფლის საზოგადოებისაგან და ეთნოგრაფიულად ასეთს სურათს გვიშლის:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბერძენი—29 | სოფელში | —3025 | ოჯახი, |
| თათარი—42 | „ | —1210 | „ |
| ქართვ. —8 | „ | —733 | „ |
| სომეხი —9 | „ | —738 | „ |
| ნემეცი —2 | „ | —108 | „ |
| რუსი —1 | „ | —89 | „ |

ცხრა სომხის სოფელი, რომელსაც სომხური პროექტი ახალქალაქის მაზრასთან შეერთებას მოითხოვს, თრიალეთის ჩრდილოეთი მხარეს (წალკაში) მდებარეობს და მართლაც ზედ ეკვრის ახალქალაქის მაზრას; თუმცა ამ ცხრა სოფლის შეერთებით ალექსანდროპოლის გუბერნიაში რამდენიმე ბერძნის სოფელიც გადადის, მაგრამ მაინც პროექტი პრინციპიალურად მისაღები შეიძლება ჩაითვალოს. მხოლოდ ამ სოფლებს დასავლეთით აკრავს ახალქალაქის მაზრის 12—15 რუსი დუხაბორების დიდი სოფლები, რომლებსაც ჯერ არ გამოუთქვამთ თავიანთი აზრი და სურვილი ტფილისის გუბერნიიდან გამოყოფისა. ეგეც რომ არ იყოს, ძლიერ საეჭვოა, რომ თვით წალკელ სომხებმაც, რომელნიც ეკონომიურად სავსებით დაკავშირებულნი არიან ახლო მდებარე და ადვილად მისაღწევ ტფილისთან, მოისურვონ შორეულ ალექსანდროპოლთან დაკავშირება.

ასე თუ ისე, ამას თვითონ გამიჯვნაში დაინტერესებული მცხოვრებნი გამოარკვევენ.

ბორჩალოს მაზრის თვითეულ საბოქაულოს თუ სასოფლო საზოგადოებას შეეხეთ საზოგადოდ იმდენად, რამდენადაც ამას სომხების გამიჯვნის პროექტი ეხებოდა. როგორც ზემოდ დავინახეთ, მაზრის ოთხ პუნქტს, ოთხს ალაგს ეხება პროექტი. აქ ჩამოთვლით ამ ადგილებს მაზრის ეხლანდელი შემადგენლობით, რომელიც უცილობლად სომხურია. პირველი ადგილი უკავია მე-3 თავში უკვე აწერილს, ლორის საბოქაულოს აღმოსავლეთ ნაწილს ანუ ქვემო ლორს, რომელიც 32 სოფლისაგან შესდგება; შემდეგ ჰახპატის ს. საზოგადოება 4 სოფლით და შინიხისა—4 სოფლით—სულ 40 სოფელი, 4870 ოჯახით. სწორედ ეს 40 სოფელი მდებარეობს იმ ტერიტორიაზე, რომელიც ძველად ნამდვილ ლორს შეადგენდა და ახლაც სომხურ ლორს წარმოადგენს. ამ ტერიტორიაზე არის სწორეთ შეგროვილი **სომხური უმრავლესობა ბორჩალოს მაზრაში** ეს ტერიტორია არის ეთნოგრაფიულად ალექსანდროპოლის მაზრის გაგრძელება და იგი აუცილებლად ავტონომიურ სომხეთში უნდა შევიდეს.

თითქმის იგივე შეიძლება ითქვას წალკის სომხურ სოფლებზე, რომ მათი ნება-სურვილი სავსებით არ იყოს ახალქალაქის მაზრის მოქალაქეთა ნებასურვილზე დამოკიდებული.

რაც შეეხება შულავერ-ოფრეთის საზოგადოებათა და მეტადრე ზემოლორის მოთხოვნას—ამას ჩვენ პროექტის დიდ და მიუტევებელ შეცდომანაკლულევანებად ვთვლით.

ბორჩალოს მაზრის მოსახლეობის წინაშე წარმოდგარია დღეს პრაქტიკული პოლიტიკის ასეთი დიდი მორიგი საქმე, როგორიცაა ეროვნული კანტონების შექმნა, ამ კანტონების შემადგენელ „სავოლოსტო“-საერობო თვითმართველ ერთეულების შედგენა-დაარსება. თუ ძველი მონარქია არ დაგვიბრუნდა, ხოლო სახელმწიფო დიდებით მუშაობის გზას დაადგა, ბორჩალოს მაზრა—გიაურარხის და კაჩაღანის საზოგადოებებისა და სომხური ლორის გამონაკლისით—სამ ეთნიურ საერობო თვითმართველ ერთეულად დაიყოფა. თავისი სივრცით ეს თვითმართველი ერთეულები ეხლანდელ საშუალო მაზრაზე მცირე იქნება, ხოლო საბოქაულოზე მეტი. ჩვენი განსაკუთრებული კავკასიური პირობები—ფრიად დაგლეჯილ-დახლართული ზედაპირი, დიდი და ძნელად გასავალი მანძილები, ეთნიური და სამეურნეო კულტურის სხვადა სხვაობა და ბოლოს რუსეთის სახელმწიფოებრივი დეცენტრალიზაციის უმაგალითო პროცესი, უთუოდ გვაიძულებენ მომავალში ეხლანდელი მაზრების, როგორც ადმინისტრატიული ერთეულების, გაუქმებას, უცხო რუსეთიდან აღებულის და ჩვენებური სახელმწიფოებრივი წყობილებისათვის შეუფერებელი სამაზრო სისტემის ლიკვიდაცია და მის მაგიერ უფრო პატარა ერთეულების შექმნა აუცილებელ საჭირო ცვლილებად უნდა ჩაითვალოს მთელი საქართველოს სივრცეზე. ამ მოსაზრებით თუ ვიხელმძღვანელეთ, ბორჩალოს მაზრის მომავალი სამი კანტონის ჩამოყალიბება ასეთ საზოგადოებრივ საზღვრებში აუცილებლად უნდა წარმოვიდგინოთ.

1 ტაშირი, რომელიც შესდგება ზემოლორის 23 და ბაშკიჩეტის სასოფლო საზოგადოების 41 სოფლისაგან და რომელშიაც თათარი და რუსი რაოდენობით თითქმის ერთნაირად იქნება წარმოდგენილი. სომხები და ქართველები ტაშირში უმცირესობას შეადგენენ.

2. **თრიალეთი**—წალკისა და ყარაბულახის ველის სოფლებით, ბერძნების კანტონი იქნება. ქართველები იქ უმცირესობას შეადგენენ.

3. **ბორჩალო**, რომელშიაც შევა: შულავერის, ოფრეთის, სადახლოს, ალავერდის, ქვეშის, კიზილაჯლოს, ფახრალოსი და ეკატერინოვკის სასოფლო საზოგადოებანი. ბორჩალოში თითქმის თანაბრად შევის: გერმანელი, თათარი, ბერძენი, სომეხი, ქართველი.

ბორჩალოს მაზრის უდიდესი ჩრდილო ნაწილი ეთნოგრაფიულად ფრიად შერეულ „ჩერეზპოლოსიცას“ წარმოადგენს და მისი ასეთი რამ ერთეულად დაყოფა ჩვენ ყოველ სხვა შეჯგუფებაზე რაციონალურად მიგვაჩნია. ამ შეჯგუფებას მიიღებენ თათრის და სომხის ჭეშმარიტი მოღვაწენი და ეს ჩვენ მტკიცედ გვწამს. ძისაღებია ჩვენი შეჯგუფება მაშინაც, როდესაც გამიჯნული მაზრების რუქასაც დავაკვირდებით.

მაგრამ რადგანაც ჩვენ მხოლოდ საგაზეთო წერილსა ვწერთ და არა გამოკვლევას, ამისთვის კიდევ ერთს მთავარის მოსაზრებას მოვიყვანთ.

თვითეული კანტონი შეერთებული იქნება თავისი შემადგენელი ნაწილების ტოპოგრაფიული მდგომარეობისა, ჰავისა და სამეურნეო კულტურის იგივეობით ბუნებრივი შემადგენლობა გამოიწვევს თვითეულ მათგანში ადგილობრივი მეურნეობის ინტენსიფიკაციას, საშუალებას მისცემს ადგილობრივ უხვი სიმდიდრის გამოყენებისა, იმ სიმდიდრის, რომელიც ეხლა პირდაპირ უპატრონოდ არის მიგდებული, რადგანაც ადგილობრივი მკვიდრნი ცხოველ ინიციატივასა და ენერგიას არ იჩენს და არც მოწვეულ-სპეციალისტი პირები ჰყავთ!—

ბორჩალოს მაზრის საუცხოვო ბუნებრივი სიმდიდრის შესახებ მთელი ტომის დაწერა შეიძლება. გამჭრიახ, გონიერსა და მხნე ადამიანებს, რომელთაც ამ სიმდიდრეში ჩაუხედნიათ და გაუთვალისწინებიათ მაზრის ბრწყინვალე ეკონომიური მომავალი—მილიონების შეძენის იმედები ჰპირდავს და იზიდავს. ეს იმედები ნამდვილ ცოდნაზე და სრულ სინამდვილეზე არის დამყარებული.

რამდენიმე ასი ათასი ფუთი მატყლი გადის ბორჩალოს მაზრიდან. ფართლეულის კარგი ფაბრიკები გაიხსნებოდა აქ, მაგრამ ერთი მცაბიო შალის საქსოვი ქარხანაც კი არ მოიპოვება მთელს მაზრაში!

ლორის საბოქაულო—ვეებერთელა, საუცხოვო, ბოტანიკური შემადგენლობით უმდიდრესი, ყვავილიან მინდორს წარმოადგენს. მაგრამ მთელ ლორში მხოლოდ ორმოციოდე გლეხს უდგას ფუტკარი. ტფილისის საგუბერნიო აგრონომი ბ-ნი ლომოური, რომელიც კარგად იცნობს ბორჩალოს მაზრას, დამეთანხმება, რომ მეფუტკრეობა აქ მოწველობის ერთ დიდ დარგად უნდა იყოს განვითარებული და ძველადაც ცნობილი ლორის თაფლი „სპეტაკი ვითა თოვლი“—ათი და ასი ათასი ფუთი ექსპორტის საგანი იყო.

მგონი, კავკასიაში არსად არ მოიპოვება ისეთი საუკეთესო პირობები გაუმჯობესებული ჯიშის საქონლის მოშენებისა, ზოოტეხნიის „უკანასკნელი სიტყვის“-მიხედვით, როგორც შეანიშნავი ლორის საძოვარი და სათიბი ველ-მინდვრები ... ლორში 100 თუ ... შეიცის ხარ-ძროხა ... ბა, ისიც ყარაღალი ... მამულში!

იგივე ითქმის ლვ... ლის მეურნეობისა ... ექსპლუატაციის შ...

მიუხედავად ომი... ციით შექმნილი ... გლეხი ისევ ... თული ოჯახის პა... რომ რამე ნაკ... სახლკარით, საქო... ვალგვარი ... უფილია ... ხოვნილებ... ლებს. ამას ... რამდენა... ხოვნილებ... ამ საზღვარს ის ... ვისი ქონების, ... სებას და გაფართო... ლობის განვითარ... ლობს. მამაპაპ... ნეო კონსერვა... თეით სისხლშ... თვისებით ჩ... —რუსი, თა... ხი—საკვირვე...

დინჯად, ... ბორჩალოს ... შეუვნებლად ... მოელ ს... შეუდარებლ... ნით და ნებ... ლი—ინგლი... ველებზე მ... ამოძრავებ... რიგ-თ, სკ...

ტყუ... (ქვოდ ...) ვე).

*) იხ. „სახ. საქ.“ № 183.

ცხოვრია, შემოვიყვანოთ ჩვენ პოლკს ახალციხეში, გსურთ ერთმანეთში აურიონ, გინდათ ცალ-ცალკე ყაზარმებში იყვნენო და სხ. ჩვენ მარტო თქვენთან გვაქვს საქმე შერიგებისათვის მართალია არიან სომხებიც, მარა ჩვენ იმათთან არავითარი საქმე არა გვაქვს და თუ ხმას ამოიღებენ ისინი, იმათ პასუხს ჩვენ გავცემთო, ოღონ ჩვენ მორიგებული ვიყვეთო. რუხაძემაც ვრცლად ილაპარაკა და ისიც მომხრე იყო მშვიდობიანობის ჩამოგდებისა მუსლიმისა და თანახმად. მან გადუქართულა მუსაკევის ნალაპარაკევი, რადგან რუსული ყველა ჯარის კაცთ კარგად არ ესმოდათ და თან ჰკითხა თანხმდებით ხომ მუსულმანების ჯარის შემოყვანაზეო. ეს უკვე კავკასიის კომისარიატმაც ა/ე გადასწყვიტა შემოვიდეს იმათი ჯარი ახალციხეში. ქალაქის მცხოვრებთაც უკვე გადასწყვიტა მშვიდობიანობისთვის შემოვიდეს მათივე ჯარიო, თქვენ რას იტყვითო. ჯარის კაცნი ინასარიძე და მელიქიძე წინაამდეგნი არ იყვნენ მხოლოდ როტებში ჯარის კაცებს აუხსნით და დასტური იმათგან უნდა მოხდეს და არა მარტო ჩვენგანო. მხოლოდ მელიქიძემ მოითხოვა რადგან ქალაქში შემოდის მათი ჯარი, მაშინ მაზრაში აღარ უნდა იყვეს აწყვერსა, ასპინძის და ადიგენს აბასთუმანს მათი ჯარები; აგრეთვე უნდა შემოიკრიბოს იარაღი სახელმწიფო სოფლებშიო ასე რომ გაწმენდილი უნდა იყოს იარაღიდან მაზრაო. რათა ჩვენი საქრისტიანო სოფლები შიშში აღარ იყვეს და უზრუნველ იყოს შეტაკებებისაგანო. კრებამ საჭიროდ სცნო სოფლად ყველგან მოისპოს იარაღი, როგორც მაჰმადიანებში, ეგრეთვე ქრისტიანებშიო, რათა მთელი მაზრა მშვიდობიანობის მხრივ უზრუნველ იყოს. აგრეთვე მშვიდობიანობაზე ილაპარაკა თავმჯ. კველიაშვილმა.

ძველი რევოლიუციონერი.

## ქუთაისის გიმნაზიების ცხოვრებიდან

(ხამშობლოს დაცვის გარშემო).

ჩვენი სამშობლოს ყოფნა არ ყოფნის საკითხი, როგორც მოსალოდნელი იყო, უფრო მძლავრათ ჩასწვდა ახალგაზრდობის გულში და ალინთო მასში ცეცხლი, სამშობლოს მტერთა გამანადგურებელი.

ქუთაისის საშუალო სასწავლებლების უფროს კლასების მოწაფეებმა გადასწყვიტეს ზვარაკად შეეწირონ მშობელი დედის—თავისი ქვეყნის ფიზიკურად დახსნის საქმეს.

მოწაფეები ჩაეწერნენ და ეწერებიან ჯარის ნაწილებში და შეუდგნენ კიდეც სამხედრო სამსახურს, ქუთაისის გიმნაზიების საპედაგოგიო რჩევები და თასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირი ალფრთოვანებით მიეგებნენ მოწაფეთა ასე იდეალურ განზრახვას და თავისი მხრივ აღნიშნეს, რომ მოწაფეთა ასეთ სიმპატიურ მაგალითს საჭიროა სხვებმაც მიბაძონ.

მოწაფეთა ჯარში ჩაწერას, ცხადია, იმდენათ ვეგებებით ჩვენ, როგორც მოქალაქენი და პედაგოგები, რამდენათაც ეს მიზანშეწონილი არის იმ დიად საქმისათვის, რომელსაც ეწოდება სამშობლოს დაცვა.

ადვილად ითქმის „სამშობლოს დაცვა“. ამ სიტყვებს ჩაკვირვება უნდა და შესაფერი მომზადება. სამშობლოს დაცვა ყველას არ შეუძლია, თუმცა ამის სურვილიც იყოს. საჭიროა არის შესაფერი ჰასაკი, გონებრივ-მოქალაქებრივი სიმწიფეც, რომ მართლა შეძლო სამშობლოსათვის თავის დადება. ძნელი არის და საქმისათვის საზიანო ამ შემთხვევაში მხოლოდ გრძნობით აღტყინება, სურვილის ბრმად აყოლა.

ჩვენ გვესმის 19—18 წლიან მოწაფეების ჩაწერა ჯარში. ამას მოითხოვს მრავალ წამებული ჩვენი დედა სამშობლო და მისი დიადი სამსახური. მაგრამ, მოგეხსენებათ, ყოველს დადებითს მოვლენას ახლავს დამახინჯებული გამოსვლა. ამ რამოდენიმე დღის წინეთ ქუთაისის გიმნაზიების მე-5, 4 და 3 კლასის მოწაფეებმაც სწავლა შესწყვიტეს სამშობლოს დაცვის სურვილით. როგორც გადმოგვცეს მეორე კლასელებსაც ბჭობა ქონიათ პირველ გიმნაზიაში სწავლის შეწყვეტის შესახებ.

ამ შემთხვევაში კი შიში ისადგურებს ჩვენს გულში, ვაი თუ სამშობლოს დაცვა ასეთი გამოსვლით გავამასხარაოთ.

ჩვენი ქვეყანა რომ განსაცდელშია, ის საიმედო არავისთვის არ არის, მაგრამ ...

ტურული მუშაობის სული მთლად შეწყვეტილი და ჯარში ბავშვების ჩაწერის დროც ჯერ ხნობით არ დამდგარა.

რას მოგვიტანს მომავალი, არ ვიცით, მხოლოდ ეს ვიცით და ამაში დარწმუნებულიც ვართ, რომ 18, 19 წლიდან 25 წლამდის განზრახული მობილიზაცია უფრო გაბედულათ და დროზე მოწესრიგებულიყო. დღეს ჩვენ გვეყოლებოდა თვალსაჩინო სამხედრო ძალა, სამშობლოსათვის თავდადებული და მისი ფიზიკური არსებობისათვის დარაჯი.

კვირას, 25 თებერვალს, ქუთაისის გიმნაზიების მასწავლებლები შეიკრიბნენ პირველ გიმნაზიის შენობაში და იქონიეს მსჯელობა მე 5, 4 და მე-3 კლასელების მიერ სწავლის შეწყვეტის შესახებ და აგრეთვე უფროს კლასების იმ მოწაფეთა შესახებ, რომელთაც თავი დაუნებებიათ სწავლისთვის, მაგრამ ჯარში არ ჩაწერილან.

პირველთა შესახებ დაადგინეს—მიეცეს მათ წინადადება შეუდგნენ სწავლას, რადგან ჯერხნობით სამშობლო მათ მობილიზაციას (მოწაფეები მე-5, 4 და მე-3 კლასების) არ საჭიროებს. ვინც სწავლას არ დაუბრუნდება, ის აღარ ჩაითვლება გიმნაზიის მოწაფედ. ამასთანავე პედაგოგებმა საგულისხმიერო რეზოლიუცია მიიღეს—ეთხოვოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს და მასთან არსებულს სამხედრო სექციას ნუ მიიღებენ ჯარში მოხალისეებად 18 წლის ნაკლებ ყმაწვილებს.

პედაგოგებმა აღიარეს საჭიროება—გიმნაზიაშივე მოეწყოს ახლავე სამხედრო ვარჯიშობა, რომელიც ყველა მოწაფესათვის სავალდებულო იქნება. ვარჯიშობას მოწაფეები ისწავლიან თავიანთ სასწავლებლებში გამოცდილი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობის ქვეშ ყოველ დღე 30—40 წუთი. ამისათვის საჭირო იქნება სამოსწავლო პროგრამის შემცირება.

კვირაში ერთ დღეს—ყოველ ხუთშაბათობით—ქუთაისის ყველა გიმნაზიებში სწყდება მეცადინეობა, მოწაფეები ამ დღეს ერთად გავლენ ქალაქ გარედ და იქ, მთავარ ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით, გამართავენ საერთო ვარჯიშობას.

ეს დადგენილებაც მეტად საგულისხმიეროა. უეჭველია, ყოველ დღე განსაზღვრულ დროით სამხედრო ვარჯიშობა ბავშს გაახალისებს, მის სულს და აგებულობას გაამაგრებს და საჭიროების დროს სამშობლოს უფრო გაწვრთნილს და მომზადებულ მსახურს გადასცემს.

კვირეში ერთი დღით სწავლის შეწყვეტა და ამ დღის საერთო ვარჯიშობისათვის შეწირვა მიზანშეწონილია. ეს გარემოება განუვითარებს მოზარდ თაობას სოციალურ გრძნობას, სოლიდარობას, რომელიც ქვაკუთხედია სადი საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის.

რაც შეეხება უფროს კლასების მოწაფეებს, რომელთაც თავი დაანებეს სწავლას და, ნაცვლად ჯარში სამსახურისა, სეირნობენ, ან სოფლებში სხედან და ან სხვა რასმე საქმეს კიდებენ ხელს, იმათ შესახებ პედაგოგებმა დაადგინეს: წინადადება მიეცეთ მათ პირნათლად ემსახურონ სამშობლოს, დაუყონებლივ ჩაეწერონ ჯარის შესაფერ ნაწილებში, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ნუ მიეღიან გიმნაზიიდან სხვა და სხვა პატივს: მოწმობების მიღებას და კლასიდან კლასში გადაყვანას.

ძ. გაგუა

## კოოპერატიული მოძრაობა

კვირას 25 თებ. იყ-დგა ვიჯ... შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წევრთა საზოგადო წლიური კრება, რომელსაც დაესწრო 118 წევრი, თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა კ ყულაბეგაშვილი მდივნად აქვს. ფურცელაძე.

კრებამ მოისმინა ანგარიში წარსული წლისა საიდანაც ჩანს შემდეგი: ამხანაგობაში ირიცხება 562 წევრი რომელთა ქონებას შეადგენს.

**პასივი.**

| | |
|---|---|
| ძირის ფული . . . | 12953 მ. — |
| შესანახად შემოტანილი . . . | 16692 „ 75 კ |
| ვალი . . . | 30445 „ 50 „ |
| წმინდა მოგება საანგარიშო წლის, . | 8025 „ 89 „ |
| სულ . . | 68117 „ 14 „ |

**აქტივი.**

| | |
|---|---|
| ფული საკრედიტო დაწესებულებაში . | 12550 მ. — |
| გაცემული სესხი ამხანაგებზე . . | 28860 „ — |
| ქონება (ინვენტარი). | 1171 „ 55 კ. |
| შეძენილი საქონელი საწყობში . . | 3917 „ 85 „ |
| კასაში ნაღდათ. . | 21617 „ 74 „ |
| სულ . | 68117 „ 14 „ |

კრებამ მოიწონა და დაამტკიცა წლის ანგარიში

დადგენილ იქმნა ძირის ფული გადიდებული იქნეს 50 მანეთამდე. მხოლოდ სესხი თვითეულ ამხანაგს მიეცეს 500 მ.

კრებამ მოისმინა მოხსენება გამგეობისა და დაადგინა, შეადგინოს მევენახეთა კავშირი და შევიდეს კავშირთა კავშირის წევრად. რისთვისაც ყველა მევენახე ვალდებულია შეიტანოს საწევრო დესეტინაზე 4 მანეთი.

კრებამ მიიღო ერთხმად დადგენილება, არ მიეცეთ პროც. ძირის ფულზე (წასული წლის მოგებიდან) და იგი შემატებულ იქმნას ძირითად თანხის გასაძლიერებლად.

კრებამ ერთსულოვნად სთხოვა გამგეობას დარჩეს თავის ადგილზე რომელშიაც შედიან სოსო ჩიტაშვილი. (თავმჯდომარე) მღ. ი. მაჭავარიანი და ტარულოვი (გამგ, წევრი) კანდიდატად არჩეულ იქმნა ივ. სოსიაშვილი. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქმნენ კ. ყულაბეგაშვილი, ნიკო ქ—ძე, ჩიტოშვილი ლევან სოლულაშვილი და კანდ. სიმ. ხუხუნია,

კრებამ ამ რიგად განაწილა წარსულ საანგარიშო წლის მოგება.

ძირითად თანხის შესამატ. 30 პრო. 2400 მან.

საკუთარი ბინის შესაძენად 25 პრ. 2025 მ. 89 კ.

სათადარიგო თანხად 20 პრ, 1600 მ.

ეროვნულ საბჭოს 10 პრ, 800 მან.

ქართულ უნივერსიტეტს 10 პროც. 300 მან.

ვეჯინის სკოლას (შესაკეთებლად) 400 მან.

მეორე სკოლას (სამრევლო) 100 მ.

ვეჯინის ბიბლიოთეკა სამკითხველოს დასახმარებლად 300 მ.

მევენახეთა კავშირისათვის 100 მ.

სულ 8025—89 კ.

კრებამ გულითადი მადლობა გადაუხადა გამგეობას მხნე მუშაობისათვის.

დამსწრე,

---


გამომცემელი
ხალხის შირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

საბუღალტრო კურსები
გ. კ. ტერ-დავიდოვისა
ნიკოლოზის ქუჩა № 36 4 გვ. 1400

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ სამკურნალო. ექიმ ნ. მ. კიშკინისა იღებს შინაგან და ნერვების ავათმყოფებს (ფსიხოტერაპია) სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, დ პარასკევს 3—5 ს. ოლღას ქ. № 22. 132

ექიმი
ზ. გ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. № 16—17. 1008

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1053

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
ნ. გ. მრევლიშვილი
მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებლის და ინტერნად კიევის ქალაქის საავადმყოფოს მიიღებს საბებიოდ საშვილოსნო ავათმყოფთ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22. ვორონცოვის ძეგლის ახლო. 193

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. გოლოვინის პ. № 6.

ექიმი ქალისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესავალი, 21.

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის თავადთა საავადმყოფოსი, იღებს 1½—3½ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. ტელ. 16—67. 1009

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოვე დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. გულისა, ფილტვისა და სისხლის კლინიკებისა. სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონდის“ პირდაპირ. 1029

ქ. კავკავში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
დოქტორი მედიცინისა მიუნხენის უნივერსიტეტისა. შინაგანი, ბავშვ., საბებიო და საშვილ. სნეულ. მიიღ. ყოვ დღე დილ. 9—10 ს. საღ. 5—6 საათ. უფასოთ მიიღ. ყოველ. დღე დილ. 8—9 ს. სოლოლაკი გუდოვიჩის ქუჩა № 6. მე 3 სართ. 134

ექიმი
ბ. ... მ. ...
იღებს ... მისამართი: ლიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საკრებულოს სამხედროების შენობის პირდაპირ, სახლი ხვანჩკიანისა. ტელეფ. 5—77. 1030

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის
დოქტორი
გ. გ. მეჭრაბიანცი
შინაგან ავადმყოფობა—ფილტვის—შლექის და გულისა. ახალი რენტგენ-ელექტრო-სინათლის კაბინეტში, გაშუქება და წამლობა X სხივებით, დიათერმია, ... ნაკადს ... შინაგანი სნეულებისათვის, პნევმოტორაქსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 2. ტელეფ. № 7—92. 1036

ექიმის
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ბინა. 1092

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კირპიჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1886 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
11—12 ს. „606“ და „914“
ავადმყოფები—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ბ. გ. აგახაროვი: $9\,^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ი. ა. ნავასარდიანი. 1001

„სახალხო საქმი“-ს
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:




| | |
|---|---|
| ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია“ მხოლოდ მეორე ტომ. | 3 მ. |
| ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია“ წ. I . | 4 „ |
| გრდემლი წ. I . . . . . | . 3 „ |
| ქართველი მწერლები. . . . . | . 2 „ |
| უცხოეთის „ . . . . . | . 2 „ |
| შიუკაშვილი—„მეგობრობა“. . . . . | .— 60 კ. |
| ჯანაშვილი—„თამარ მეფე“. . . . . | . 1 „ 20 „ |
| ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო“ . . | .— 40 „ |
| ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი“ . | .— 50 „ |

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე“.

სტამბა
სახალხო საქმე
ტფილისი
ბარონის ქუჩა
№ 14

სტამბა ასრულებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს სუფთად, იაფად და თავის დროზე


სტამბა „სახალხო საქმე“, ბარონის ქუჩა № 14